საქართველოს მთავრობის

დადგენილება №179

2014 წლის 20 თებერვალი

ქ. თბილისი

საჯარო სამსახურის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 128^1 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საჯარო სამსახურის საბჭოს თანდართული დებულება.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 თებერვლიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

საჯარო სამსახურის საბჭოს დებულება

მუხლი 1. საჯარო სამსახურის საბჭოს სტატუსი და მიზანი

1. საჯარო სამსახურის საბჭო (შემდგომში – საბჭო) არის საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო, რომელიც შექმნილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 128^1 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

2. საბჭოს მიზანია საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაცია, სახელმწიფო ორგანოთა ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფასთან და საჯარო სამსახურის სფეროში კანონით განსაზღვრული სხვა საკითხების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მომზადება, საჯარო სამსახურის ძირითადი ღირებულებების – კომპეტენტურობის, პოლიტიკური მიუკერძოებლობის, პატიოსნების, სანდოობისა და საქვეყნოობის დანერგვისა და დაცვის უზრუნველყოფა.

3. საბჭოს აქვს ბეჭედი და ბლანკი.

მუხლი 2. საბჭოს ფუნქციები

1. საკუთარი კომპეტენციიდან გამომდინარე, საბჭო საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენად ამზადებს რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) საჯარო სამსახურის სისტემის ფუნქციონირების ერთიანი პრინციპებისა და მიდგომების შემუშავებისა და დანერგვის შესახებ;

ბ) საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის სრულყოფის შესახებ;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სტრუქტურების განვითარებისა და საქმიანობის სრულყოფის შესახებ;

დ) საჯარო მოსამსახურეთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებისა და მისი გამართული ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობის შესახებ;

ე) საჯარო სამსახურის სფეროს რეფორმების ერთიანი სტრატეგიისა და პრინციპების შემუშავებისა და დანერგვის შესახებ;

ვ) საჯარო სამსახურის სისტემის რეორგანიზაციასთან, ადამიანური რესურსების მართვასა და განვითარებასთან დაკავშირებული პროექტების, პროგრამებისა და ხელშეკრულების შეთანხმებისა და შესრულების შესახებ.

2. აგრეთვე საბჭოს ძირითადი ფუნქციებია:

ა) საჯარო სამსახურის სფეროს საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა და შესაბამისი დასკვნების მომზადება;

ბ) საჯარო სამსახურის სფეროში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

გ) საჯარო სამსახურის სფეროში სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭო შედგება საბჭოს თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნისა და 12 წევრისაგან.

2. საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე არის საქართველოს მთავრობის ის წევრი, რომელსაც ეკისრება პირველი ვიცე-პრემიერის მოვალეობების შესრულება.

4. საბჭოს მდივანს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელიც იმავდროულად არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.

5. საბჭოს 12 წევრი შედგება საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სამ-სამი წარმომადგენლისაგან, რომელსაც ნიშნავს საქართვე-ლოს პრემიერ-მინისტრი.

6. საბჭოს წევრობა არ არის ანაზღაურებადი სამუშაო.

მუხლი 4. საბჭოს უფლებები

1. საბჭოსა და მის წევრებს შეუძლიათ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და თანამდებობის პირებს მოსთხოვონ შესაბამისი საკითხის განხილვისათვის საჭირო ინფორმაციის წარდგენა კანონით დადგენილ ვადებში.

2. საბჭოს უფლება აქვს სხდომაზე მოიწვიოს საჯარო სამსახურის დაწესებულების ნებისმიერი თანამდებობის პირი.

მუხლი 5. საბჭოს სხდომები

1. საბჭო იკრიბება 3 თვეში ერთხელ მაინც.

2. სხდომის მოწვევა ხდება საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს მინიმუმ 5 წევრის მოთხოვნით.

3. საბჭოს წევრებს სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ საბჭოს მდივნის მიერ ეცნობება სხდომამდე სულ ცოტა 5 დღით ადრე, რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში – გონივრულ ვადაში.

4. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3.

5. საბჭოს წევრს შეუძლია მოითხოვოს საბჭოს სხდომის დღის წესრიგში კონკრეტული საკითხის შეტანა, რის შესახებაც მან საბჭოს მდივანს უნდა აცნობოს სხდომამდე 3 დღით ადრე მაინც.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაუცველად საბჭოს შეუძლია დამსწრეთა ხმების უმრავლესობით დღის წესრიგში შეიტანოს განსახილველი საკითხი.

7. საბჭოს სხდომაზე საკითხი გამოაქვს საბჭოს მდივანს ან საბჭოს იმ წევრს, რომელსაც საბჭომ სთხოვა საკითხის მომზადება, ან რომელმაც მოითხოვა საკითხის დღის წესრიგში შეტანა.

8. საბჭოს სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე ან, მისი დავალებით, საბჭოს მდივანი.

9. საბჭოს სხდომები ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.

10. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

11. საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს მდივანი. სხდომის ოქმი საჯარო დოკუმენტია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12. საბჭოს რეკომენდაცია შესაძლებელია აისახოს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ ნორმატიული აქტში.

მუხლი 6. საბჭოს მდივანი

1. საბჭოს მდივანს – საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსს – თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

2. საბჭოს მდივანი:

ა) ხელმძღვანელობს საჯარო სამსახურის ბიუროს;

ბ) უზრუნველყოფს საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ მხარეს;

გ) წარმოადგენს საბჭოს მესამე პირთან ურთიერთობაში სპეციალური რწმუნების გარეშე;

დ) ორგანიზებას უკეთებს საბჭოს სხდომებს და უზრუნველყოფს მასზე განსახილველი საკითხების მომზადებას;

ე) უზრუნველყოფს საბჭოს წევრებს სათანადო ინფორმაციით;

ვ) თვალყურს ადევნებს საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობას;

ზ) ყოველწლიურად საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს შესრულებული სამუშაოს ანგარიშს და მომდევნო წლის სამუშაო გეგმას.